

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N117 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაზე,
მოქალაქე მამია სანიკიანისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N117 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მამია სანიკიანის წარმომადგენლის მადონა გიორგაძის განცხადება /2012 წლის 15.08 Nგ-6633/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N117 საცხოვრებელი სახლის N36 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე მამია სანიკიანის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N117 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მამია სანიკიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N117 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაზე /საერთო ფართობი 53,59 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 29,64 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,95 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2,0 კვ.მ./ მოქალაქე მამია სანიკიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია